არავითარი შებრალება ხალხის მჩრებს!

თბილისის უნივერსიტეტში

თბილისის უნივერსიტეტის კლუბის გაჭედილი დარბაზი გერ იტევს ყველას, ვისაც სურს თავისი აღშფოთება გამოსთქვას აჭარის კონტრრევოლუციური, საეკლესიო-ჯაშუშური, ტერორისტული, დივერსიულ-მაუნებლური ორგანიზაციის მონაწილეთა საზიზღარ დანაშაულთა გამო.

ტრიბუნაზე ერთი-მეორეს ცვლიან პროფესორები, მეცნიერი მუშაკები, სტუდენტები.

— ჩვენ მოვითხოვთ, — განაცხადა ეკონომიური ფაკულტეტის დეკანმა ამხ. პ. მეტრეველმა, — ხალხის უბოროტესი მტრების ფიზიკურად მოსპობას. რკინის ჭესლით უნდა გავსრისოთ ეს ბინძური ირაფხადები!

პროფ. კ. კეკელიძემ აღნიშნა, რომ მუშებს და კოლმეურნე გლეხობას არ დაეიწყებიათ წარსული რეჟიმის საშინელებანი; ისინი აჭარელებს არ გაკკვირვებიან ლორთიფანიძის, რამიშვილისა და საშშობლოს სხვა მოღალატეთა ბანდებს. საჭიროა აღმოეფხვრათ მაუნებლობისა და მაუნებელთა ნაშთები.

— ჩვენ მოვითხოვთ, — განაცხადა მან, — რათა დამნაშავენი სიკვდილით იქნან დასჯილნი.

სტუდენტი ქალი ამბ. სიდონია ჩხაძე და სტუდენტი ამბ. კოპალიანი უდიდესი აღშფოთებით ლაპარაკობდნენ საზიზღარ გამცემელთა დანაშაულებრივ მუშაობაზე. საბჭოთა ქვეყნის მშრომელებს მავნად ეჭირავთ ხელში ლენინ-სტალინის ლოზუნგი და ფრაზის მისცემენ ნებას დაანგრიონ საბჭოების ქვეყნის დიადი მიღწევები. ხალხის ბილწი მტრები, რომელნიც ხელყოფდნენ ამ მიღწევებს, განადგურებულ უნდა იქნან.

პროფ. დ. უზნაძე ამბობს,

— როცა აქ ვისმენ გამოსულთა სიტყვებს, ჩემს წინაშე ისახება წარსული ჩამორჩენილი აჭარის სურათი, აჭარისა, რომელიც გონებრივად მოლებს ჰყავდათ დამონებული, ხოლო ეკონომიურად ბეგებს. განა შეიძლება ეს შაებნილი წარსული შევადაროთ ნათელ აწმყოს, რომელიც განვითარების გზა გაბნილი აქვს ხალხის ყოველგვარ ნიჭს და შრომისა, განათლებისა და კულტურისაკენ მისწრაფებას! ქვეყანა ჰყავს, ხალხის უბოროტეს მტრებს უნდოდათ წინანდელ მდგომარეობაში დაებრუნებინათ აჭარა, — ისინი არავითარი შეწყნარების ლირსნი არ არიან.

დოკენტმა ნ. კაკბოველმა აღნიშნა — დიდმა სტალინმა შექმნა მეგობრობა და ძმობა საბჭოთა ხალხებისა, რომელნიც გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიან. წარსულის დაბრუნება შეუძლებელია. მეცნიერი მუშაკები, რომელნიც თავის მუშაობაში შეიარაღებული არიან ყალმით, პარტიისა და მთავრობის პირველი დავალებისთანავე, ამ ეარაღს, სხვა იარაღით შესცვლიან და მკერდით დაიცავენ დიდი სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს.

თავის რეზოლუციაში თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებელთა, პროფესორთა და სტუდენტთა 8 ათასიანი კოლექტივი ხასკელის უმაღლეს შინაგან—დასვრეტას მოითხოვს ხაზიზღარ მანინგოთათვის, ფაშისტ-ტროცკისტ-ბუხარინელ ჯაშუშთათვის.